



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერმანი

ერმანი, ჯავის მუნიციპალიტეტის სოფლების შუა ერმანისა და ქვემო ერმანის გავრცელებული სახელწოდება. ე. მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის სათავეში, ისტ. მაღრან-დვალეთში. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მათიანე „ძეგლი ერისთავთა“ (XIV ს.) სოფელს უწოდებს „ერემანის“, ხოლო ი. გიულდენშტედტი (XVIII ს.) – „ერემას“. შუა საუკუნეებში ე. მაღრან-დვალეთთან ერთად შედიოდა ქსნის საერისთავოს შემადგენლობაში. შემორჩენილია გვიანდ. შუა საუკ. ოთხკუთხა გეგმით ნაგები კოშკები. ე. მდიდარია მინერ. წყლებით.

ჟ. გვასალია
